თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო
უნივერსიტეტი
TBILISI HUMANITARIAN TEACHING UNIVERSITY

# მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის მექანიზმები და შეფასების სისტემა

| | |
|---|---|
| დამტკიცებულია: | დადგენილების # და თარიღი |
| | შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის<br>აკადემიური საბჭოს დადგენილება N9<br>25.04.2019 |
| შეტანილია ცვლილება: | დადგენილების # და თარიღი |
| | |
| | მუხლის მითითება, რომელშიც შეტანილია ცვლილება |
| | |

თბილისი - 2019

* -

1. ზოგადი დებულებები
   1.1. წარმოდგენილი დოკუმენტი აყალიბებს შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში - თჰუ) ხედვას და მიდგომებს მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის მექანიზმების და შეფასების სისტემისათვის.
   1.2. თჰუ-ს მართვა ხორციელდება უნივერსიტეტის ორგანიზაციული სტრუქტურის შესაბამისად, თჰუ ისწრაფვის მართვის პროცესში ეფექტურად გამოიყენოს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და საგანმანათლებლო სივრცეში არსებული საუკეთესო პრაქტიკა.

2. მართვის ეფექტიანობის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები
   2.1. თჰუ-ს მართვის ეფექტიანობის მონიტორინგისა და შეფასებისათვის გამოიყენება შემდეგი მექანიზმები:
      - მართვის ეფექტიანობის ყოველწლიური მონიტორინგი და შეფასება;
      - მართვის ეფექტიანობის კომპლექსური გეგმიური შეფასება;
      - მართვის ეფექტიანობის კომპლექსური არაგეგმიური შეფასება.
   2.2. <u>მართვის ეფექტიანობის ყოველწლიური მონიტორინგისა და შეფასებისათვის</u> გამოიყენება შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგისა და შეფასების მიდგომები.
   2.3. <u>მართვის ეფექტიანობის კომპლექსური გეგმიური შეფასება</u> ხორციელდება 3 წელიწადში ერთხელ და ემთხვევა თჰუ-ს სამწლიანი სამოქმედო გეგმის დასრულების პერიოდს.
   2.4. <u>მართვის ეფექტიანობის კომპლექსური არაგეგმიური შეფასების</u> ინიცირება შეუძლია
      - დამფუძნებელთა კრებას
      - აკადემიურ საბჭოს
      - რექტორს
      - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს.
   2.5. გადაწყვეტილებას მართვის ეფექტიანობის კომპლექსური არაგეგმიური შეფასების ინიცირებაზე იღებს დამფუძნებელთა კრება ან/და აკადემიური საბჭო.
   2.6. მართვის ეფექტიანობის კომპლექსური გეგმიური/არაგეგმიური შეფასებისათვის უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით იქმნება მართვის ეფექტიანობის შეფასების სამუშაო ჯგუფი (შემდგომში - სამუშაო ჯგუფი).
   2.7. სამუშაო ჯგუფში უნივერსიტეტის თანამშრომლების გარდა, კვალიფიციური დახმარების აღმოჩენის მიზნით, შესაძლებელია გარეშე პირების მოწვევა.
   2.8. უნივერსიტეტის რექტორი განსაზღვრავს ჯგუფის ხელმძღვანელს, რომელიც ღებულობს გადაწყვეტილებას ჯგუფის წევრებს შორის ფუნქციების განაწილებისა და შესასრულებელი სამუშაოს ვადების შესახებ.

3. მართვის ეფექტიანობის შეფასების ზოგადი პრინციპები
   3.1. ეფექტიანობის შეფასება უნდა იყოს:
      3.1.1. რელევანტური - შეფასებამ უნდა ასახოს ის, რის მიღწევასაც ცდილობს უნივერსიტეტი - და არა ის, რაც გასაზომად მარტივია.
      3.1.2. დამახასიათებელი - უნივერსიტეტის მართვის ეფექტიანობის შეფასება უნდა ითვალისწინებდეს საგანმანათლებლო სფეროში მოქმედ ეროვნულ სტანდარტებს, უნივერსიტეტის სტრუქტურას და სტრუქტურული ერთეულების ანგარიშვალდებულებებს.
      3.1.3. შედარებითი - სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმით დაგეგმილი ამოცანების შესრულება წლების მიხედვით.

3.1.4. ნათლად განსაზღვრული - ცხადი და არაორაზროვანი განმარტებით ისე, რომ მონაცემები იყოს შეგროვებული და კრიტერიუმი იყოს ადვილად გასაგები, მინიმალური ახსნა-განმარტებით. შეფასების პროცესის დოკუმენტაცია უნდა იყოს ნათლად წარმოდგენილი.

3.1.5. დროული - მართვის პროცესების შეფასების დოკუმენტაცია უნდა წარმოებდეს საკმარისად რეგულარულად, რათა შესაძლებელი იყოს პროგრესის დანახვა და საკმარისად სწრაფად, რათა მონაცემები იყოს ჯერ კიდევ ღირებული გადაწყვეტილების მიღებისას.

3.1.6. საიმედო და შემოწმებადი - შეფასებამ უნდა გამოიყენოს ზუსტი მონაცემები შესაბამისი საჭიროებებისთვის. გაზომვა უნდა იყოს სისტემატიური და ცვლილებებზე რეაგირებადი. დროში გაწერილი - ნათლად უნდა იყოს წარმოდგენილი აქტივობის დროში განხორციელების ვადები.

3.2. მართვის ეფექტიანობის შეფასებისათვის გამოიყენება შემდეგი მეთოდები:

- ნორმატიული დოკუმენტაციის ანალიზი;
- სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის შედეგები და ანალიზი;
- უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა და სტრუქტურული ერთეულების ყოველწიურიანგარიშებისა და თვითშეფასებების ანალიზი;
- უნივერსიტეტის პერსონალის გამოკითხვა და ინტერვიუირება;
- სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვები და ინტერვიუირება;
- ფინანსური აუდიტის ჩატარება.

4. მართვის ეფექტიანობის კომპლექსური გეგმიური/არაგეგმიური შეფასების წარდგენა და განხილვა

4.1. სამუშაო ჯგუფი მართვის ეფექტიანობის კომპლექსურ გეგმიურ/არაგეგმიურ შეფასებას წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს, დამფუძნებელთა კრებას და აკადემიურ საბჭოს.

4.2. დამფუძნებელთა კრება და აკადემიური საბჭო იხილავს მართვის ეფექტიანობის კომპლექსურ გეგმიურ/არაგეგმიურ შეფასებას და გამოაქვს შესაბამისი გადაწყვეტილება.